



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ტექსტილის ტექნოლოგიისა და დიზაინის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
საფეიქრო მრეწველობის ტექნოლოგია

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
საინჟინრო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ტექნოლოგიების მაგისტრი საფეიქრო მრეწველობის ტექნოლოგიაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მაყვალა გოგოლაძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ. 899 51 61 44
E-mail: tamta_ge@yahoo.co.uk

ქუთაისი
2008

პროგრამის სტრუქტურა

№	საგნის დასახელება	მეცადინეობის ფორმა	საგნის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა	კრედიტების განაწილება			
					სემესტრი			
					I	II	III	IV
1	პედაგოგიკა და ფსიქოლოგია	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	5	5			
2	უცხო ენა	პრაქტიკული	სავალდებულო	10	5	5		
3	აკომპიუტ. პროგრამ. უზრუნველყ. ბმსოფლიო საინფორმაციო რესურსები	პრაქტიკული	არჩევითი	5	5			
4	ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	5		5		
5	საფეიქრო მასალების ტექნოლოგიის საფუძვლები	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	25	10	5	5	5
6	საფეიქრო მასალების აღნაგობა და პროექტირება	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	10		5	5	
7	ტრიკოტაჟული ნაწარმის რესურსდამზოგი ტექნოლოგიის საფუძვლები	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	5		5		
8	მოქნილი ტექნოლოგიები საფეიქრო მრეწველობაში	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	5			5	
9	საფეიქრო მასალების ხარისხის ტექნიკური კონტროლისა და მართვის საშუალებები და მეთოდები	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	5				5
10	კომპოზიციური მასალების დამზადების ალტერნატიული მეთოდები	ლექცია პრაქტიკული	სავალდებულო	5				5
11	სამეცნიერო პედაგოგიური პრაქტიკა	პრაქტიკული	სავალდებულო	5			5	
12	სამეცნიერო-კვლევითი (პროფესიონალური) პრაქტიკა	პრაქტიკული	სავალდებულო	5				5
13	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა (სამაგისტრო დისერტაცია)	პრაქტიკული	სავალდებულო	30	5	5	10	10
სულ				120	30	30	30	30

4.სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.